



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 53
20/11/2019

53-04-4-201911201350



ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (ს/კ №21.03.35.040; შენობა-ნაგებობის საერთო ფართი: 303.87 კვ.მ.) „გურამ ჯიჯავამის სახელობის ქედის საჭიდაო დარბაზი“-ს სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მეორე პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიის 2019 წლის 04 ნოემბრის №18 სხდომის ოქმის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის შესაბამისად ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზს (ს/კ №21.03.35.040; შენობა-ნაგებობის საერთო ფართი: 303.87 კვ.მ.) მიენიჭოს სახელი - „გურამ ჯიჯავამის სახელობის ქედის საჭიდაო დარბაზი“.
2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას თანმდევი პროცედურების განხორციელება.
3. ამ განკარგულების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას (კომისიის თავმჯდომარე - გოჩა გორგილაძე).
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

